ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მუნიციპალიტეტის
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N23

8.12.2023

სხდომის ჩატარების ადგილი: ქალაქ ქუთაისის ადგილობრივი
თვითმმართველობის შენობა, სხდომათა დარბაზი.
ქ. ქუთაისი,რუსთაველის გამზირი N3

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიების N21-ს სხდომას თავმჯდომარეობს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ბატონი ბაქარ მახარაძე.

ესწრებოდნენ:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრები: კომისიის თავმჯდომარე ბაქარ მახარაძე.

კომისიის წევრები:
ირაკლი შენგელია, პაატა ლილუაშვილი, ამირან კოპალეიშვილი, ზაქრო მამასახლისი, მარეხი ნიჟარაძე, მაია სიმონიძე, კობა გურული, მერაბ ჭოხონელიძე, დარეჯან ფხაკაძე .

სულ: 16 წევრიდან 11 წევრი.

არ ესწრებოდნენ:

გია ბასილაძე, გიორგი კილაძე, გაგა მანაგაძე, დავით ბახტაძე, ელეონორა არჩაია, რომან ქვაჩაკიძე.

სულ: 6 წევრი

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი ბ-ნი **დ.ნიშნიანიძე** და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ერთეულების თანამშრომლები და მოქალაქეები.

სხდომა გახსნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ბაქარ მახარაძემ: „მოგესალმებით მეგობრებო, როგორც მოგეხსენებათ, დღეს ჩვენ ვატარებთ საფინასო-საბიუჯეტო კომისიის მორიგ სხდომას. დღის წესრიგი და მასალები კომისიის წევრებთან წინასწარ გადმოიგზავნა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ბაქარ მახარაძემ წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის N23 სხდომის დღის წესრიგის შემდეგი პროექტი:

1. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის №55 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ბატონი დ. ნიშნიანიძე/
ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო პოლიტიკისა
და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი

2. მიმდინარე და სხვა საკითხები

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ბაქარ მახარაძემ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის N23 სხდომის დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრა.

ღია კენჭის ყრით ერთხმად, დაადგინეს.

დამტკიცდეს კომისიის სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით.

მოისმინეს:

დღის წესრიგის პირველი საკითხი - „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის №55 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
(დანართი ოქმს თან ერთვის)

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ბატონი ბაქარ მახარაძე: „მოგახსენებთ, რომ **ცვლილებები შედის მიმდინარე წლის ბიუჯეტში, მეხუთე ცვლილება.** კერძოდ, გაიზარდა შემოსულობების გეგმა 1165,0 ათასი ლარით, კერძოდ, შემოსულობა არაწარმოებული აქტივების გაყიდვიდან გაიზარდა 1050,0 ათასი ლარით, შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო -70,0 ათასი ლარით, მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის - 45,0 ათასი ლარით. შესაბამისად შეიცვალა ხარჯვითი ნაწილი. დეტალურ ინფორმაციას ვთხოვთ ბატონ დავით ნიშნიანიძეს.

ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი **დ. ნიშნიანიძე:** „მოგესალმებით, გაგაცნობთ „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის №55 დადგენილებაში ცვლილების შეტანის ძირითად მიზეზებს და იმ პროგრამების ჩამონათვალს, რომელშიც განხორციელდა ცვლილება. ცვლილების მიზანია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ფინანსური ნუსხის

დამტკიცება, კერძოდ, ბიუჯეტში ხორციელდება შემდეგი ცვლილებები: იზრდება შემოსულობების გეგმა 1165,0 ათასი ლარით - აქედან, შემოსულობა არაწარმოებული აქტივების გაყიდვიდან 1050,0 ათასი ლარით, შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო -70,0 ათასი ლარით, მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის -45,0 ათასი ლარით. შესაბამისად, შეიცვალა ხარჯვითი ნაწილი და გაიზარდა შემდეგი პრიორიტეტები: განათლება - 460,0 ათასი ლარით; კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი - 633,0 ათასი ლარით; ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 8,0 ათასი ლარით; მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები 64,0 ათასი ლარით. მეხუთე ცვლილების შედეგად ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი დაზუსტდა და შეადგინა 131 146,8 ათასი ლარი“.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი კ.გურული: „სოციალური დაცვის პროგრამებში რომელი იზრდება?“

საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი დ. ნიშნიანიძე: „საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა, აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია, სოციალურად დაუცველი ახალშექმნილი ოჯახებისა და ახალშეძენილი შვილიანი ოჯახების მხარდაჭერა, მედიკამენტებით უზრუნველყოფა და შინმოვლა. ჯამური ცვლილება შეადგენს 56 ათას ლარს“.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ბ.მახარაძე: „გამარტივებული ფორმიდან ჩანს, რომ იზრდება ბაღების, კალათბურთის და ფეხბურთის დაფინანსებები. რამ განაპირობა ამის საჭიროება?“

საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი დ. ნიშნიანიძე: „ჩვენი მიდგომა ასეთია: სადაც იყო თავისუფალი რესურსები, გადავანაცვლეთ საჭირო პროგრამებში“.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ბ.მახარაძე: „17 ათასი ლარით შემცირდა სოციალურად დაუცველი ბავშვებისათვის განათლების ხარისხის ამაღლება. რამ განაპირობა აღნიშნული?“

საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი დ. ნიშნიანიძე: „ეკონომია იყო ამ პროგრამაში და შემცირდა, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ამით რომელიმე მოწყვლადი ჯგუფი დაზარალდება“.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ბ.მახარაძე: „ასევე, შშმ პირთა საერთაშორისო დღის დაფინანსებას 4 ათასი ლარი დააკლდა“.

საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი დ. ნიშნიანიძე: „დიახ, ეს დღე ჩატარდა 3 დეკემბერს და რაც თანხაც დაგვრჩა, სხვაგან გადავიტანეთ“.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ბ.მახარაძე: „მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამაზე 18 ათას ლარიანი მატება რამ გამოიწვია?“

საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი დ. ნიშნიანიძე: „ჩემი ინფორმაციით, მაღალი მოთხოვნა იყო ამ პროგრამაზე და ამიტომ გავზარდეთ“.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა **ბაქარ მახარაძემ** დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის წევრებმა.

მომხრე - 9, წინააღმდეგი - 1.

ღია კენჭისყრით **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის №55 დადგენილებაში ცვლილების შეტანა.

ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე **ბაქარ მახარაძე**